ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №52

18 სექტემბერი 2023 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ავთანდილ ცინცაძე, აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე-ლევან მიქავა.
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.(**საკრ.№15-03232581-03 15/09/23 (№11-01232573363))**

დღის წესრიგი დამტკიცდა.
წარმოდგენილი კვრატალური ცვლილებების შესახებ ისაუბრა ლევან მიქავამ.
შესათანხმებლად წარმოდგენილია მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნა კვარტალურ ცვლილებაზე.კერძოდ: პროგრამის „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები“ (პროგ/კოდი: 02 09 01) მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 1 200 000 ლარით, რაც ბალანსდება პროგრამის„გზების მშენებლობა და აღდგენა“ (პროგ/კოდი 01 01 01) მესამე კვარტალის შესაბამისად შემცირებით. აღნიშნული გადანაწილება დაკავშირებულის კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდასა და გამაგრების სამუშაოებთან.

ქვეპროგრამის „კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 10) მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 233 300 ლარით. დაბალნსება ხდება ქვეპროგრამის „გზების მოვლა შეკეთება გლდანის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 08) მესამე კვარტლის გეგმის შესაბამისად შემცირებით. გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ მიმიდინარეობს იფრასტრუქტურული პროეტების ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესრულება (სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა/შეკეთება, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა) და შესაბამის პროგრამაში ამ პერიოდისთვის თანხები საკმარისი არარის.

მესამე კვარტლიდან მეოთხე კვარტალში გადადის - 895 600 ლარი ქვეპროგრამაში „კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 14) და 252 339 ლარი, ქვეპროგრამაში „ კეთილმოწყობის ღონისძიებები ვალის რაიონში“(პროგ/კოდი 02 09 15) .

ლევან მიქავამ განმარტა ცვლილების მიზეზი. აღნიშნა, რომ წყნეთში გ.შერვაშიძის I შესახვევში არსებული სკვერის რეაბილიტაცია არის შეჩერებული , ასევე ეკლესიების დაფინანსებაზე გამგეობას არ მიუღია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო საბჭოსგან, ამიტომ ვერ ხდება თანხის ათვისება. წარმოდგენილია ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოთხოვნა კვარტალურ ცვილებაზე „შრომის ანაზრაურების“ და „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების“ მუხლებში. აღნიშნულ მუხლებში არსებული რესურსი არასაკმარისია კვარტლის ბოლომდე თანამდებობრივი სარგოს გასაცემად. საერთო ჯამში გადასახდელებში მესამე კვარტლიდან 1372644 ლარის გადატანა ხდება მეოთხე კვარტალში.

მომხრე-6 თავი შეიკავა -მიხეილ კაკაურიძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, გლდანის, ვაკისა და საბურთალოს რაიონული გამგეობები,ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა, **უმრავლესობით გადაწყვიტეს:**

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**